ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი

ემერიტუსი ყარამან ფაღავა

პროფესორი თინათინ კუტუბიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ირინე კორინთელი

ასისტენტ-პროფესორი მარინე გაგოშიძე

ასისტენტ-პროფესორი ირმა კორინთელი



ასისტენტ-პროფესორი ნინო სანოძე

ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი

კათედრა სახელწოდებით "ბავშვთა სნეულებათა კათედრა კლინიკით" დაარსდა 1921 წელს. კათედრა-კლინიკის პირველ ხელმძღვანელად არჩეული იქნა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კათედრის გამგე პროფესორი სიმონ გოგიტიძე. კლინიკურ დარგში კათედრის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს მიეკუთვნება: მენინგიზმის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების შემუშავება ბავშვებში, აეროთერაპიის დანერგვა, მისი ჩვენებებისა და ეფექტურობის დადგენა რესპირაციული პათოლოგიის დროს, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოდიაგნოსტიკის დანერგვა პედიატრიულ კლინიკაში, კოლაგენოზის დიაგნოსტიკა ბავშვებში, ტუბერკულოზური მენინგიტის სტრეპტომიცინით მკურნალობის დანერგვა, რეფლექსოთერაპიის დანერგვა პედიატრიულ კლინიკაში, პლაფერონოთერაპიის გამოყენება ბავშვთა პულმონოლოგიურ კლინიკაში, ლაზეროთერაპიის გამოყენება პედიატრიაში. კათედრის თანამშრომლების მიერ ჩატარებულია ექსპედიციები საქართველოს რაიონებში, სხვადასხვა დაავადების

გავრცელების გამოსავლენად ბავშვებში. მიზანდასახული კვლევის შედეგად მიღებული იქნა ინფორმაცია იუვენილური ჰიპერტენზიების შესახებ. ასევე პრიორიტეტული იყო მონაცემები შეუთავსებლობის როლის შესახებ ბავშვთა პათოლოგიაში. შესრულდა შრომათა ციკლები პულმონოლოგიაში, რევმატოლოგიაში, ალერგოლოგიასა და მის გენეტიკურ წანამძღვრებზე. გამოქვეყნდა 5 მონოგრაფია, კათედრის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა შრომათა ორი კრებული. 90-იან წლებში კათედრის სამეცნიერო ინტერესების სფეროში მოხვდა სოციალური პედიატრიის საკითხები (პირველ რიგში, ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების სამედიცინო დახმარების ასპექტები), ეკოლოგიური პედიატრია, მოზარდთა მედიცინა.
2006 წელს ჩამოყალიბდა ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულება, რომელიც მუშაობს დიპლომამდელ, დიპლომისშემდგომ და რეზიდენტურის სასწავლო პროგრამებით, მონაწილეობს მოდულებში.

დიპლომამდელი პროგრამა:
ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა (მედიცინის ფაკულტეტი).

დიპლომისშემდგომი პროგრამები:
- სასუნთქი სისტემის უხშირესი დაავადებების მართვა ბავშვთა ასაკში,
- მუცლის ტკივილით მიმდინარე დაავადებათა მართვა ბავშვთა ასაკში,
- მუცლის ტკივილით მიმდინარე დაავადებათა მართვა ბავშვთა ასაკში,
- ანტიბიოტიკები პედიატრიულ პრაქტიკაში კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვთა შეფასება ინტრალური სისტემებით.
- სარეზიდენტო პროგრამები:
- "პედიატრია უცხოელებისთვის",
- "პედიატრია",
- "ბავშვთა გასტროენტეროლოგია".

მოდულები:
- ზოგადპედიატრიული სტაციონარი,
- მოზარდთა მედიცინა,
- გასტროენტეროლოგია,
- სისხლის დაავადებები,
- სასუნთქი სისტემის დაავადებები.

სამეცნიერო კვლევის მიმართულებები:
• ბავშვთა და მოზარდთა ანატომოფიზიოლოგიურ თავისებურებათა კვლევა ნორმასა და პათოლოგიის დროს;
• კლინიკური კვლევები - სამკურნალო ფაქტორების ეფექტურობის დადგენა (ბაქტერიოფაგი);
• ჯანდაცვის ორგანიზაცია,
• კლინიკური ეპიდემიოლოგია,
• იშვიათ დაავადებათა მართვა და მოზარდთა ჯანმრთელობის და ქცევის შესწავლა; გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მათემატიკური მოდელების განსაზღვრა.

გრანტული პროგრამები (2006 წლიდან):
1. "იშვიათ დაავადებათა მართვის ოპტიმიზაცია ბავშვებსა და მოზარდებში" (GNS-F/ST08/6-460);
2. "ბაქტერიოფაგის გამოყენება პედიატრიაში" (STCU-GHSF-4316);
3. "კლინიკური კვლევები" (ევროპის პედიატრთა კლინიკური კვლევის ცენტრთან - იტალია);
4. მოზარდთა სივრცითი ორიენტაციის დადგენა (მუშავდება და ქვეყნდება მასალები წინა წლების გრანტული თემებიდან - საფრანგეთი).

სადოქტორო პროგრამები:
1. ბაქტერიოფაგოთერაპია ახალშობილთა სეფსისის დროს;
2. გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა შაქრიანი დიაბეტის დროს ბავშვებში.

სახელმძღვანელო: "ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა". 200 8წ.
ავტორები: ყ.ფაღავა, ნ.უბერი, ც.ფარულავა, მ.კვეზერელი-კოპაძე, თ.კუტუბიძე, ი.მანჯავიძე, მ.ჩიქოვანი და სხვ.